

IB ევრო-კავკასიური უნივერსიტეტის
საგამოცდო ცენტრის დებულება

I. მიზანი

ცენტრის მიზანია IB ევრო-კავკასიურ უნივერსიტეტში ჩასატარებელი ყველა დონისა და დანიშნულების გამოცდის მეთოდური და ორგანიზაციული უზრუნველყოფა.

1. გამოცდების ორგანიზება და მართვა;
2. გამოცდების ეფექტიანობის, სამართლიანობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;
3. გამოცდების მეთოდური და ორგანიზაციული სისტემის მუდმივი განვითარება.

II. ნორმატიული ბაზა

1. საქართველოს სახელმწიფო კანონმდებლობა (კონსტიტუცია, კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებული სხვა საკანონმდებლო აქტები);
2. IB ევრო-კავკასიური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსა და სენატის დადგენილებები;
3. ადმინისტრაციული განკარგულებები;
4. საკუთარი დებულებით გათვალისწინებული ნორმები.

III. კონცეპტუალური საფუძველი

ცენტრი მუშაობს IB ევრო-კავკასიური უნივერსიტეტის კორპორაციული, შემოქმედებითი და ფასეულობებითი პრიორიტეტების შესაბამისად. კერძოდ, ხარისხის განვითარებაზე დამყარებული საქმიანობა; სწავლების ტრადიციული (სამართლიანობა, შეჯიბრებითობა) და ინოვაციური (ინტერაქტიული, ჯგუფური დავალებების შეფასების, პრაქტიკულ გამოცდილებაზე დამყარებული მეთოდები) პრინციპების შეხამება; ორიენტაცია საბოლოო შედეგზე; ევროპული სტანდარტებისა და ქართული სპეციფიკის შეხამება.

IV. კომპეტენციის სფერო: A. ცენტრი ამუშავებს გამოცდების ერთიან კონცეპტუალურ, მეთოდურ და ორგანიზაციულ სისტემას, ხელს უწყობს მის რეალიზაციას უშუალოდ პრაქტიკაში და მუდმივად აკონტროლებს დანერგილი სისტემის მუშაობას, დროულად შეაქვს ცვლილებები და ზრუნავს მის განვითარებაზე დროის მოთხოვნების შესაბამისად.

B. ცენტრის საქმიანობის სფეროში შედის:

1. უნივერსიტეტში მისაღები გამოცდები, შემოქმედებითი ტურები, გასაუბრება ყველა ფაკულტეტის, ყველა სპეციალობისა და ყველა სასწავლო პროგრამისათვის: საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო, სასერტიფიკატო, სხვადასხვა სასწავლო კურსებზე და ა.შ.
2. შიდასაუნივერსიტეტო გამოცდები: ფაკულტეტებისა და სხვა ორგანიზაციული ერთეულების მიერ შედგენილი უწყვეტი საგამოცდო გეგმის შესაბამისად;
3. სხვადასხვა საკვალიფიკაციო გამოცდები: პედაგოგიური პერსონალისთვის, ადმინისტრაციული კადრებისთვის;

C. ცენტრის უშუალო მოვალეობა მოიცავს მისი საქმიანობის სფეროში შემავალი გამოცდების ორგანიზაციულ უზრუნველყოფას. კერძოდ,

1. გამოცდების საერთო საუნივერსიტეტო გეგმის შედგენა და დასამტკიცებლად რექტორისთვის წარდგენა;
2. ფაკულტეტების მიერ მოწოდებული საგამოცდო ბადეების ერთ შიდასუნივერსიტეტო საგამოცდო ბადედ შეკვრა;
3. საგამოცდო კომისიის სიის შედგენა;
4. გამოცდების მატერიალური ბაზის (საგამოცდო ოთახი, ტექნიკური აღჭურვილობა და სხვ.) შესაბამისობის კონტროლი;
5. გამოცდების ორგანიზაციული მართვა და მათი მიმდინარეობის კონტროლი.

V. ორგანიზაციული საფუძველი

1. ცენტრი წარმოადგენს IB ევრო-კავკასიური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურულ ერთეულს.
2. გამოცდებთან დაკავშირებული ოპერატიული საკითხების თაობაზე ცენტრი ურთიერთობს რექტორატთან, ფაკულტეტებთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან.
3. გამოცდების მოწყობასა და ჩატარებას ცენტრი უძღვება ფაკულტეტებთან ერთად, ხოლო საგამოცდო სისტემის განვითარების საკითხებს ათანხმებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

VI. ორგანიზაციული სტრუქტურა

1. ცენტრს ხელმძღვანელობს დირექტორი.
2. ცენტრის საქმიანობას წარმართევენ კოორდინატორები.
3. ცენტრის თანამშრომელთა უფლება-მოვალეობანი გაწერილია თანამდებობრივ ინსტრუქციაში.